საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

შპს ,,შპს გეოკერამიკა "-ს დირექტორის,
რატი ძიძიკაშვილის

სკრინინგის განცხადება

შპს ,,გეოკერამიკა" გეგმავს კერამიკული კრამიტისა და მოსაპირკეთებელი ფილების მწარმოებელი საწარმოს მოწყობას. საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურების გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი: 1.სკრინინგის ანგარიში - ნაბეჭდი ვერსია - 1ეგზ.

2. ელექტრონული ვერსია - 1-CD დისკი;

პატივისცემით,

დირექტორი /რ. ძიძიკაშვილი/

0160, თბილისი, ო. ონიაშვილის ქ., N76, ტელ: 5 79 07 33 37, ელ. ფოსტა merabi778/@mail.ru

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 14670
14 " 11 2018
02

შპს ,,გეოკერამიკა"-ს კერამიკული კრამიტისა და მოსაპირკეთებელი ფილების მწარმოებელი საწარმოს

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი შ.პ.ს. ,,BS Group"

159 M. Brothers Romelashvilebi st, Gori, Georgia
tel: +(0 370) 273365,599708055, e-mail: makich62@mail.ru

1. დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის ადგილმდებარეობა, ინფორმაცია საწარმოს შესახებ.

შპს ,,გეოკერამიკა"-ს კერამიკული კრამიტისა და მოსაპირკეთებელი ფილების მწარმოებელი საწარმოს მშენებლობა დაგეგმილია გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ნორიოში, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ს/კ 81.09.30.224, 81.09.30.293, რომლებიც წარმოადგენენ საწარმოს საკუთრებას. დაწყებულია ნაკვეთების დანიშნულების შეცვლის პროცედურები.

უახლოესი დასახლებული პუნქტი(სოფ. ნორიო) აღნიშნული ტერიტორიიდან დაშორებულია 660 მეტრით. ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 3534კვ.მ.-ს. თბილისის შემოვლითი - საერთაშორისო მნიშვნელობის გზა მდებარეობს საწარმოდან აღმოსავლეთით, მისგან 20 მეტრის დაშორებით, ასევე საწარმოდან სამხრეთით 9,4 კმ. მანძილზე მდებარეობს უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - თბილისის ზღვა.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 432 $მ^2$ ფართობის კაპიტალური შენობის - საწარმოო კორპუსის (ს/კ 81.09.30.224),სადაც განთავსდება წარმოების ძირითადი ტექნოლოგიური ხაზი და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ხოლო ნედლეულის განთავსება იგეგმება საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე(ს/კ 81.09.30.293). საწარმოს სიმძლავრე შეადგენს 40000 კვ. მ. ევროპული ხარისხის კერამიკულ ნაწარმს ყოველწლიურად, რომელიც კონკურენციას გაუწევს როგორც საქართველოში არსებულ კერამიკის და სამშენებლო ფილების მწარმოებელ ქარხნებს, ასევე სამშენებლო მასალის იმპორტიორებს. საწარმო დაკომპლექტდება თანამედროვე ტექნოლოგებით და მასში პირველივე წელს დასაქმდება 20 ადამიანი. პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ინვესტიცია განხორციელდება აწარმოე საქართველოს პროექტის ფარგლებში. პროექტის განხორციელების სავარაუდო დრო შეადგენს 6 თვეს. ტერიტორიის მიმდებარე ნაკვეთებზე ანალოგიური პროფილის საწარმოები არ მდებარეობენ. დანართი 1.1. და 1.2. წარმოდგენილია საწარმოს სიტუაციური გეგმა და საკადასტრო ნახაზი.

შპს ,,გეოკერამიკა" საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	შპს ,,გეოკერამიკა"
იურიდიული მისამართი	თბილისი, ო. ონიაშვილის ქ., N76
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ნორიო
საქმიანობის სახე	კერამიკული კრამიტისა და მოსაპირკეთებელი ფილების წარმოება
საკონტაქტო მონაცემები	
საიდენტიფიკაციო კოდი	405272789
ელექტრონული ფოსტა	merabi778/@mail.ru
საკონტაქტო პირი	რატი ძიძიკაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	5 79 07 33 37 ალიკო ლორია

დანართი 1

დანართი 2

810930250
01
810930251
810930276
810930294
810930263
810930241
810930353
810930064
810930314
810930287
810930281
810930358
810930318
810930331
810930224
810930224
810930319
810930322
810930269
810930330
810930246
810930293
810930236
810930242
810930139
810930231
810930317
810930245
810930257
810930311
810930237
810930326
810930160
810930232
810930284
810930128
810930360
810930099
810930255
810930234
810930344
810930097
810930252
810930298
810929935

2.პროექტის აღწერა

2.1. პროდუქციის ნომეკლატურა

პროექტით დათვალისწინებულია შემდეგი სახის პროდუქციის გამოშვება;

1. კერამიკული კრამიტი

ბრტყელი ტალღოვანი ტიპის.

ამ ტიპის კრამიტის თავისებურება ის არის, რომ იგი შედარებით ნაკლები რაოდენობით არის საჭირო ვიდრე ქართული კრამიტი (1 კვ.მ-ზე 15 ცალი). გარდა ამისა იგი საკმაოდ ლამაზია. მზადდება გერმანული დიზაინით.

ზომები; სიგრძე - 370 -400 მმ; სიგანე - 230 – 250 მმ; სისქე - 15 მმ

ღარიანი, ქართული კრამიტი

ზომები; სიგრძე - 380 – 400 მმ; სიგანე - 220 მმ; სისქე - 15 მმ



2.მოსაპიკეთებელი კერამიკის ტერაკოტას ფილები

გათვალისწინებულია გამოშვებული იქნეს შემდეგი სახეობის მოსაპირკეთებელი ფილები;

1. საკედლე მოსაპირკეთებელი ფილები ინტერიერებისა და ექსტერიერებისათვის მაღალი ტენ და ყინვაგამძლეობით.

ზომები , მმ - სიგრძე - 200 - 200 - 200 - 180; სიგანე - 100 - 50 - 40 - 35;
სისქე - 15 - 12 - 12 - 15

2 იატაკის, ეზოების, ტროტუარების და ბილიკების მოსაპირკეთებელი ტერაკოტას ფილები სხვასხვა ზომებითა და კონფიგურაციებით



2.2. საწარმოო პროცესის აღწერა

2.2.1. საწარმოს სიმძლავრე

გამოშვებული პროდუქციის ნომეკლატურის მიხედვით გათვალისწინებულია პროდუქციის გამოშვება შემდეგი მოცულობით

დასახელება	ერთი განზ	დღეში	თვეში	წელიწადში
კერამიკული კრამიტი	კვ.მ	50	1250	15000
ტერაკოტას მოსაპირკეთ. ფილები	კვ.მ	60	1500	18000

ნედლეულის თიხის მასის საჭირო რაოდენობა ტონა

N	პროდუქციის დასახელება	დღეში	თვეში	წელიწადში
1	კერამიკული კრამიტი	2,250	56,250	675
2	ტერაკოტას ფილები	2,250	56,250	675
სულ	წელიწადში	4,5 0	112,50	1 350

2.2.2. მასის მომზადებისათვის გამოყენებული ნედლეული

1ტონა კერამიკული კრამიტისა და მოსაპირკეთებელი ფილების მასის მომზადებისათვის გამოყენებული იქნება ნედლეული შემდეგი თანაფარდობით: თიხა - 0,28ტ., ლამი 0,12ტ., წყალი - 0,6ტ.

დასახელება	ერთი განზ	თიხა	ლამი	წყალი
კერამიკული კრამიტი	ტონა	0,28	0,12	0,6
ტერაკოტას მოსაპირკეთ. ფილები				

ნედლეულის მოპოვება მოხდება:

თიხა - ახლომდებარე ნორიოს თიხების კარიერიდან - საწარმოო ტერიტორიის შერჩევა განაპირობა კერამიკული თიხების კარიერის სიახლოვემ (2 – 3 კმ);

ლამი - მდ. დურუჯის ლამი;

წყალი - მოეწყობა ჭა - გამოყენებული იქნება წყლის ბრუნვის ცირკულაციური სისტემა, დანაკლისის შევსება მოხდება აღნიშნული ჭიდან.

საწარმოს მუშაობის რეჟიმი

მასის მომზადებისა და პროდუქციის ფორმირების უბნები - ერთცვლიანი

საშრობებისა და გამოწვის ღუმელების უბანი	- სამცვლიანი
სამუშაო დღეების რაოდენობა თვეში	- 25 დღე
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	- 300 დღე

2.3. ტექნოლოგიური პროცესი

საწარმოში პროდუქციის დასამზადებელი ნედლეულის მომზადების პროცესი გათვალისწინებულია თიხის წმინდა მეთოდით დამუშავებით (დაფქვა ბურთულებიან წისქვილში, გაცრა, დაფქვილი თიხის გაუწყლოება და საყალიბო პლასტიური მასის მიღება).

თიხები საჭირო პროპორციებით იყრება სველი დაფქვის ბურთულებიან წისქვილში სადაც ხდება მისი წყალთან ერთად დაფქვა. დაფქვილი მასა გაივლის 1 მმ-იან საცერს. საცერზე რჩება ნარჩენების სახით კირქვები, ქვები და სხვა. გაცრილი თიხის მასა (შლიკერი) გროვდება მასის დაყოვნების ავზში, საიდანაც მემბრანული ტუმბოს მეშვეობით მიეწოდება ფილტრ-წნეხს, რომელიც ახდენს მასის გაუწყლოებას და მიიღება 20% სინესტის მქონე პლასტიური მასა. პლასტიური მასა მიეწოდება შესაბამის მაფორმირებელ დანადგარს, ფორმირდება და ფორმირებული ალიზი გადადის საშრობ კამერებში, შემდეგ ღუმელებში.

წარმოების ტექნოლოგიური სქემა

ნედლეული

თიხა + ლამი + წყალი

⇩

დ ო ზ ი რ ე ბ ა

⇩

სველი დაფქვის ბურთულებიანი წისქვილი

⇩

ვიბრაციული საცერი

⇩

მასის დაყოვნების ავზი. ვერტიკალური ამრევი

⇩

თიხის გუწყლოება ფილტრ წნეხში

⇩

კრამიტისა და ფილების ფორმირების ხაზი

⇩

დამჭრელი მექანიზმი

⇩

საშრობი საკნები

⇩

გამოსაწვავი ღუმელი

⇩

ხარისხის კონტროლი

⇩

მზა პროდუქციის საწყობი

2.3.1. საწარმოს ტექნოლოგიური აღჭურვილობა

დანადგარ მოწყობილობები შერჩეულია ძირითადად საქართველოში არსებული უხმარი ან მცირედ ნახმარი (80 – 90 პროცენტიანი რესურსით). ხოლო დანადგარების მეორე ნაწილი შემოიტანება ირანიდან (ახალი) ან იტალიიდან (მეორადი) ჩართვისა და მუშაობის გარანტიით.

1.ბურთულებიანი სველი დაფქვის წისქვილი - წისქვილის დანიშნულებაა თიხის ნაზავის წყალთან ერთად დაფქვა-გაერთგვაროვნება



2. ვიბრაციული საცერი - ვიბროსაცერის დანიშნულებაა წისქვილში დაფქვილ მასაში არსებული მსხვილი ჩანართების გამოყოფა

3.მასის დაყოვნების ავზი და ვერტიკალური ამრევი - წისქვილიდან დაფქვილი და გაცრილი მასა ხვდება დაყოვნების ავზში, ავზი ჩაფლულია მიწაში იატაკის დონემდე. პროპელერიანი ვერტიკალური ამრევის დანიშნულებაა ავზში დაყოვნებული მასის არევა-გაერთგვაროვნება

4. მემბრანული ტუმბო - მემბრანული ტუმბო ახდენს ავზშია რსებული თიხა-წყლის თხევადი მასის მაღალი წნევით (10-15 ბარი) ფილტრ წნეხისათვის მიწოდებას.



HM-7,1/20

5. ფილტრ წნეხი - ფილტრ წნეხი მემბრანული ტუმბოსაგან მიწოდებული თიხა-წყლის თხევადი მასიდან გამოდევნის წყალს და თხევად მასას გარდაქმის ცომისებრ მასალად



6. კრამიტისა და ფილების ფორმირების ხაზი - ხაზი ახდენს ცომისებრი მასის მაღალი წნევითა და ვაკუუმირებით მასის ფორმირებას და საითანადო ფორმატით დაჭრას.



7. გამოწვის ღუმელი - გამომშრალი და მომზადებული პროდუქცია შედის ღუმელში, სადაც ხდება მისი გამოწვა 950 – 1100 გრადუსზე. გამოწვის სრული ციკლის ხანგძლიობა შეადგენს 24 საათს.

2.3.2. სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ნორმები

ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული იქნება ელ. ენერგია

ელექტრო ენერგიის ხარჯის განსაზღვრა

1 მასის დაფქვის უბანი

თიხის წისქვილში ჩაყრა (2 ტ. თიხა)

ელ. ტელფერი 3 კვტ

თიხის წისქვილში დაფქვა 1,5 სთ

22 კვტ x 1,5 = 33 კვტ

ვიბრაციული საცერი

1,1 კვტ 1 სთ = 1,1 კვტ

პროპელერიანი ამრევი

11 კვტ x 0,2 სთ = 2,2 კვტ

სულ 2 ტონა თიხის დაფქვაზე 39,3 = 40 კვტ. ანუ 1 კგ თიხაზე 0,02 კვტ

2. მასის გაუწყლოების უბანი

მემბრანული ტუმბო და ფილტრ წნეხი

ტუმბოზე 7,5 კვტ x 5 სთ = 37,5 კვტ

1 კგ თიხაზე 37,5 : 1500 კგ = 0,025 კვტ

სულ თიხის დაფქვა-გაუწყლოებაზე 1 კგ-ზე 0,02 + 0,025 = 0,045 კვტ

ე.ი. 1 კვ.მ კრამიტზე 45 x 0,045 = 1,92 კვტ

1 კვ.მ ფილებზე 35 x 0,045 = 1,49 კვტ

3. ფორმირების უბანი

ვაკუმ წნეხი 11 + 3 + 5 = 19 კვტ

ერთ საათში იწარმოება 15 კვ.მ კრამიტი ან 8 კვ.მ ტერაკოტას ფილები

ე.ი 1 კვ.მ კრამიტზე 19 : 15 = 1,27 კვტ

1 კვ.მ ფილებზე 19 : 8 = 1,49 კვტ

სულ ელ. ენერგიის ხარჯი თიხის მომზადებასა და ფორმირებაზე

1 კვ.მ კრამიტზე 1,27 + 1,92 = 3,19 კვტ

1 კვ.მ ფილებზე 1,49 + 2,38 = 3,87 კვტ

4. ელ. ენერგიის ხარჯი შრობაზე

კერამიკული კრამიტის ალიზის შრობის მთლიან ციკლზე

12 კვტ x 24 სთ = 288 კვტ : 50 კვ.მ = 5,76 კვტ

ტერაკოტას ფილების ალიზის შრობის მთლიან ციკლზე

288 კვტ : 60 კვ.მ = 4,80 კვტ

ელექტრო ღუმელის მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მილი მოთავსებულია მასზე უფრო დიდი დიამეტრის იმავე სიგრძის მილში ისე, რომ მათ შორის რჩება გარკვეული სივრცე. გაფრქვევის მილში ცხელი ჰაერის გავლისას მილებს შორის სივრცეში არსებული ატმოსფერული ჰაერი ცხელდება მაღალ ტემპერატურამდე და სპეციალური მილის საშუალებით მიეწოდება საშრობ ღუმელს, რაც წარმოადგენს დამატებითი ენერგიის წყაროს შრობის პროცესში.

5. ხარჯი ელექტრო ღუმელში გამოწვისას

3,0 კბ.მ მოცულობის ღუმელში გამოწვისას

ელ. ენერგიის ხარჯი გამოწვის მთლიან ციკლზე 390 კვტ

ღუმელის ტევადობა: კრამიტი 40 კვ.მ.

ფილები 45 კვ.მ

სულ: 1 კვ.მ კრამიტზე 390 : 40 = 9,75 კვტ

1 კვ.მ ფილებზე 390 : 45 = 8,7 კვტ

2.3.3. საწარმოო ტერიტორია და მისი მოწყობის გეგმა

საწარმოო ტერიტორიად გათვალისწინებულია 3534 კვ.მ ფართობი. ამ ფართობზე განლაგდება;

1. საწარმოო კორპუსი 12 x 36 მ = 432 კვ.მ
2. ადმინისტრაციული შენობა 6 x 12 მ = 48 კვ.მ
3. საყარაულო ჯიხური 3 x 3 მ = 9 კვ.მ

სულ შენობა ნაგებობები		489 კვ.მ
4.	თიხების სასაწყობო ღია მოედანი	20 x 30 მ = 600 კვ.მ
5.	ლამის სასაწყობო ღია მოედანი	20 x 30 მ = 600 კვ.მ
6.	მისასვლელი გზები	1300 კვ.მ
7.	გამწვანების ზონები	545 კვ.მ
	სულ	3534 კვ.მ.

2.3.4. წყლის გამოყენება

წყლის გამოყენებას ადგილი ექნება ტექნოლოგიურ ციკლში, სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის და ტერიტორიის მოსარწყავად, ასევე საწარმოს მშენებლობის პროცესში.

ტექნოლოგიურ ციკლში წყლის წყლის გამოყენებას ადგილი აქვს ბურთულებიანი სველი დაფქვის წისქვილში თიხის ნაზავის წყალთან ერთად დაფქვა-გაერთგვაროვნების პროცესში, რომლის რაოდენობა შეიძლება შეადგენდეს 1350 $მ^3$ წლიურად. ფილტრ წნეხში თხევადი მასიდან ადგილი აქვს წყლის ნაწილის (დაახლოებით 60%) გამოდევნას, რაც ხელმეორედ გამოიყენება. წყლის დანაკარგს ადგილი ექნება ალიზის გამოწვის ღუმელში, რომლის სავარაუდო მაქსიმალური წლიური რაოდენობა შეიძლება შეადგენდეს 400 $მ^3$-ს. სულ ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყლის რაოდენობა შეადგენს 1750$მ^3$-ს.

სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის და ტერიტორიის მოსარწყავად გამოყენებული წყლის მაქსიმალური საერთო რაოდენობა შეიძლება შეადგენდეს 350$მ^3$-ს.

მშენებლობის პროცესში - წყლის მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება შეადგენდეს 100$მ^3$-ს.

ჩამდინარე წყლები

ტექნოლოგიურ ციკლში ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება, ხოლო სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენებული ჩამდინარე წყლის ჩაშვება მოხდება საასენიზაციო ორმოში, რომელიც პერიოდულად დაიცლება.

3. პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებები

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიურობიდან გამომდინარე, მისი განხორციელების პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებებიდან შეიძლება განხილული იყოს:

- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება;
- ხმაურის გავრცელება;
- ნიადაგის/ გრუნტის დაბინძურების რისკი;
- ზემოქმედება გეოლოგიურ პირობებზე;
- წყლის გარემოს დაბინძურების რისკი;
- ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკი;
- ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე;
- ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე;
- შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება;
- ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

3.1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება

<u>მშენებლობის პროცესში</u> ატმოსფერული ჰაერის შესაძლო დაბინძურებას განაპირობებს სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებისას სატრანსპორტო ტექნიკის გადაადგილება, სამშენებლო და სხვა(შესადუღებელი დანადგარი და სხვ.) ტექნიკის მუშაობა და მიწის სამუშაოების შესრულება. ამ დროს ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში მტვრის და წვის პროდუქტების გავრცელებას.

<u>ექსპლუატაციის ეტაპზე</u> ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები წარმოადგენენ თიხისა და ლამის საწყობები, წისქვილის ბუნკერში ჩაყრის ადგილები, თიხის გამოწვის ადგილი(ელ. ღუმელი).

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მოსალოდნელი მავნე ნივთიერებები წარმოდგენილია ცხრილში 4.1.

ცხრილი #4.1:

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვების კონცენტრაცია მგ/მ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2909	ინერტული მასალის მტვერი	0.5	0.15	3
301	აზოტის დიოქსიდი	0.2	0.04	2
0330	გოგირდოვანი ანჰიდრიდი	0.5	0.05	3
337	ნახშირჟანგი	5,0	3,0	4
0203	ქრომი Cr^{+6}	-	0,0015	1
0163	ნიკელი Ni	-	0,001	2

3.2. ხმაური და ვიბრაცია

ხმაური

მშენებლობის პროცესში მიწის სამუშაოების, ტექნიკის/სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების და მუშაობისას ადგილი ექნება ხმაურის გავრცელებას. საწარმოს ფუნქციონირების არც ერთ ეტაპზე წარმოქმნილი ხმაური არ გადააჭარბებს მოქმედი კანონმდებლობით დასაშვებ ხმაურის დონეს.

ვიბრაცია

საწარმოს ფუნქციონირების არც ერთ ეტაპზე ადგილი არ ექნება ისეთი მანქანა/დანადგარების ფუნქციონირებას, რომლებიც წარმოადგენენ ვიბრაციის წყაროს, ამიტომ ვიბრაციის შესაძლო ზემოქმედება კვლევის საგანს არ წარმოადგენს.

3.3. ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე

საფონდო მასალების მიხედვით შესასწავლ ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღინიშნება.

3.8.ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

საპროექტო ტერიტორიის პირდაპირი ზემოქმედება დაცულ ტერიტორიაზე მოსალოდნელი არ არის.

3.9. კუმულაციური ზემოქმედების რისკები

სამშენებლო სამუსაოების მცირე მასშტაბის და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საწარმოს ზემოქმედების ზონაში ანალოგიური ტიპის საწარმოები არ ფუნქციონირებენ, კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

3.10. ბუნებრივი რესურსების გამოყენება

როგორც სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო ინერტული მასალები, ასევე ექსპლუატაციის პროცესში მოხმარებული თიხის და ლამის საჭირო რაოდენობები შემოტანილი იქნება ლიცენზირებული კარიერებიდან.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

შპს ,,შპს გეოკერამიკა "-ს დირექტორის,
რატი ძიძიკაშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მ/წ 13 ნოემბერს ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნა შპს ,,გეოკერამიკა"-ს კერამიკული კრამიტისა და მოსაპირკეთებელი ფილების მწარმოებელი საწარმოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება, რომელზეც თქვენს მიერ მოთხოვნილი იქნა დამატებითი ინფორმაცია. წარმოგიდგენთ აღნიშნულ ინფორმაციას.

დანართი: 1. ნაბეჭდი ვერსია - 1ეგზ.

2. ელექტრონული ვერსია - 1-CD დისკი;

პატივისცემით,

დირექტორი /რ. ძიძიკაშვილი/

09.11.2018

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 15312
"30" 11 2018
1/3

0160, თბილისი, ო. ონიაშვილის ქ., N76, ტელ: 5 79 07 33 37, ელ. ფოსტა merabi778/@mail.ru

შპს ,,გეოკერამიკა"-ს კერამიკული კრამიტისა და მოსაპირკეთებელი ფილების მწარმოებელი საწარმოს

დამატებითი ინფორმაცია სკრინინგის ანგარიშზე

შემსრულებელი შ.პ.ს. **,,BS Group"**

159 M. Brothers Romelashvilebi st, Gori, Georgia
tel: +(0 370) 273365,599708055, e-mail: makich62@mail.ru

1.დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები

ტერიტორიის (ს/კ 81.09.30.224; 81.09.30.293) მთელ პერიმეტრზე 2,0-2,5მეტრი სიმაღლის კაპიტალური კედლის მოწყობის მიზნით გაითხრება ტრანშეა, სადაც

ფუნდამენტად ჩალაგდება რკინა-ბეტონის რიგელები, რომელზეც აშენდება კედელი. სამშენებლო მასალად გამოყენებული იქნება ბეტონის სამშენებლო ბლოკი. მშენებლობაში გამოყენებული დუღაბი მომზადდება ადგილზე, რისთვისაც მცირე პარტიებით შემოტანილი ქვიშა და ცემენტი განთავსდება საწარმოს კუთვნილ ტერიტორიაზე.

2.გამოყენებული ტექნიკა

სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას გამოყენებული იქნება შემდეგი დაქირავებული ტექნიკა: ერთი ექსკავატორი, ერთი სატვირთო თვითმცლელი მანქანა, ერთი ამწე კრანი, რომელთა საწვავით გამართვა საწარმოს ტერიტორიაზე არ მოხდება.

3. სამშენებლო ბანაკი

ტერიტორიაზე განლაგებული იქნებ მუშათა საცხოვრებელი კონტეინერული ან ვაგონის ტიპის ერთი შენობა, რომელიც ამავე დროს გამოყენებული იქნება სადღეღამისო საყარაულო პუნქტად, ასევე სასაწყობო სათავსები. ელექტრომომარაგება მოხდება ადგილობრივი ელექტრომომარაგების ქსელიდან, ხოლო წყალმომარაგება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჭიდან. სასმელი წყალი შემოტანილი იქნება გარედან. სამშენებლო ბანაკი შემოიღობება მავთულის დროებითი ღობით. საწარმოს პერიმეტრზე დაიდგმება გამაფრთხილებელი ნიშნები.

4.წარმოქმნილი ნარჩენები

მშენებლობის პროცესში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შემდეგი სახის ნარჩენების წარმოქმნას:

ინერტული ნარჩენები - 30-35კუბ.მეტრის მოცულობით, რომლითაც მოხდება მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი ჩაღრმავებების შევსება ან ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით დაიყრება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

ქაღალდის შესაფუთი მასალის ნარჩენები - 50-100კგ.-ის ოდენობით, რომელიც გატანილი იქნება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე.

შავი ლითონი, შედუღებისას წარმოქმნილი ნარჩენები 50-100კგ.-ის ოდენობით - ჩაბარდება ჯართის მიმღებ პუნქტში.

საყოფაცხოვრებო ნარჩენები რაოდენობით 30-50კგ. - შეგროვება მოხდება შესაბამის კონტეინერებში. ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე.

სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (მაგ. ზეთებით დაბინძურებული ჩვრები, და სხვ.), რომელთა რაოდენობა არ იქნება 120 კგ-ზე მეტი. დროებითი დასაწყობება მოხდება სამშენებლო მოედანზე ცალკე გამოყოფილ სათავსოში.

სამუშაოების დასრულების შემდომ გადაეცემა იურიდიულ პირს, რომელსაც ექნება ნებართვა ამ სახის ნარჩენების გაუვნებელყოფაზე.